№ 81 კვირა, 11 აპრილი 1910 წ. № 81

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, [illegible] საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**

**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა** ამით აცხადებს, რომ კვირას, აპრილის 11-ს, წმ. ნინოს სასაფლაოზე გარდახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი

## კონსტანცია სტანისლავის ასულის ტურიაშვილის

სულის მოსხსენებლად. პანაშვიდი დაიწყება 12 ს. (1—1)

---

**ანნა, ივანე და ნიკოლოზ ანდრიას ასული და ძენი ყიფშიძენი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 11 აპრილს, საყვარელ დედის

## აღათია (ანო) ალექსის ასულის ყიფშიძის

გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გარდახდილი იქნება წირვა და შემდეგ საფლავზე პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9½ ს., პანაშვიდი წირვის შემდეგ. (1—237—1)

---

**ვლადიმერ ბესარიონის ძე და ნატალია დავითის ასული ჩაგანავა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 14 აპრილს, 10 საათზე დანიშნულია საფიჩხიის ეკლესიაზე წლის წირვა და პანაშვიდი სასაფლაოზე მათის ძვირფას შვილის

## კუკუნიას (ლიდიასი)

სულის მოსახსენებლად. (1—კვ.—1)

---

**მართა დავითის ასული აგლაძისა** შვილებითურთ აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 11 აპრილს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მისი მეუღლის

## გიორგი დავითის ძის აგლაძის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე. (2—2)

---

„სორაპნის“ ამხანაგობის გამოცემა.

## ქართველი და უცხოელი მწერლები

**წიგნი მეხუთე**

**◄ მიიღება ხელის მოწერა ►**

## გიუი-დე მოპასანის

**თხზულებაზე.**

წიგნი გამოვა ჩვეულებრივი ზომისა და ფორმატისა, მოთავსებული იქნება ავტორის სურათი და ბიოგრაფიული ცნობები. ამას გარდა წიგნის ტექსტი დასურათებული იქნება **დაახლოვებით 20 სურათამდე. წიგნი ხელის მომწერლებისათვის ეღირება 25 კაპეიკათ.** ცალკე გასასყიდად არ გამოვა.

ხელის მოწერა დაიწყება 10 აპრილს და გათავდება 10 მაისს. ხელის მოწერა მიიღება პროვინციაში ყველა აგენტებთან, ტფილისში—წერა-კითხვის მაღაზიაში, Нов. Рѣч. გოლ. პროსპ.—„ალიონის“ წიგნის მაღაზიაში და „სორაპნის“ სტამბაში. ვისაც სურს წიგნი ფოსტით გამოიწეროს, მან უნდა გამოგზავნოს 40 კაპ. მარკა.

ადრესი ფოსტის: Тифлисъ, Т—во „Сорапань“. (8—1)

---

## ა. მ. სიმონიანცის

**ლამფებისა და ჭურჭლეულობის საწყობი**

სომხის ბაზრისა და ზარაზების ქუჩის კუთხე, საკუთარი სახ. ხოჯაფარუხოვის ქარვასლის პირდაპირ.

**განყოფილება:** ერევნის მოედნისა და სომხის ბაზრის კუთხე, ადელხანოვის მაღაზიის გვერდით. ახლად მიღებულია დიდ-ძალი ლამფები საზღვარგარეთისა და რუსეთის ფაბრიკებისა. ახალი „გარკულკები“, „პოლიარნაია ზვეზდა და მატადორი“ ბერლინიდან. სადილისა და ჩაის სერვიზი, ინგლისის ფაიანსი, ბროლი და ბაკკარი. ნავთის სამზარეულო, ემალის ჭურჭელი, სამოვარი, დანა-ჩანგალი, ფრაჟისა და სხვ. კოვზები. საქონელი მიღებულია პირდაპირ ფაბრიკებიდან, ჩაუწყობლივ, ნარდათ, ამიტომ შემიძლიან კონკურენცია გაუწიო სხვა მოვაჭრეებს როგორც სიიაფით, ისე საქონლის ღირსებით, რაშიაც ყველას შეუძლიან პირადად დარწმუნდეს. ქორწინებისათვის, ნადიმებისათვის და სხვა წვეულობისათვის მაღაზიის განყოფილებიდან იძლევა ქირით ჭურჭელი. (3—ტ.—2)

---

## საბურთალოზე

სასტუმრო „დარიალის“ პირდაპირ, ახალ ეკკლესიის მახლობლად **დაიჭრა ოცი დესეტინა მამული** ვასილ ილიარ. გაბაშვილისა და **ნაჭრებად იყიდება.** იქვე იძლევა ქირით სასტუმრო „რაზსვეტი“ სარდაფით და მშვენიერი ბაღით მოსალაპარაკებლად შეგიძლიანთ მიმართოთ: ოლგას ქუჩა, სახლი № 6, გაბაშვილსა. (3—228—2)

---

**◄ სრული პასუხის მგებლობა ►**

**მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ მოვაწყე**

## „ფეხსაცმელების სახელოსნო“

გვაქვს მზად შეკერილი ფეხსაცმელები ქალებისთვის, კაცებისთვის და ბავშვებისთვის საკუთარი ნამუშავარი—**შევროსი, ხრომისა და სხვა მასალისა,** აგრეთვე გკერავთ შეკვეთით სუფთად, მკვიდრად და დანიშნულ ვადაზედ. საქონლის სიკარგისათვის ვკისრულობ სრულ პასუხის მგებლობას.

ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ხითაროვისა N 28.

**პატივისცემით ივ. სვ. ბერძნიშვილი.**

**◄ სრული პასუხის მგებლობა ►** (25—ნ.—18)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., [illegible]ას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი გ ს.** თვალის, ორშ., ოთხ. და პარასკ. 2—2-ნახ. ს.

**ფირალოვი რ. ზ.** ქირურ. ყოველ-დღე

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**ხობოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—154)

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. გაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**გ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა,

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**მ. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაცია და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—ნ.—317)

---

## ისარგებლეთ შემთხვევით!

## დანიშნულია დიდი სადიდ-მარხვო იაფობა!

## დეპო

## ლამფებისა და ჭურჭლეულობისა

(სალდათის ბაზარი (იარმუკა) სომხის სემინარიის პირდაპირ).

## დარჩო იაგორის ძის ეგანოვისა.

ვაჭრობა ბროლისა, ფაიანსისა, ფაიფურისა, მელხიორის ნივთებით, აგრეთვე ემალ გადაკრული სპილენძის ნაწარმოები და სამზარეულო ლითონის ნივთებით.

## სამოვრები ყოველ-გვარ ფასონისა.

**◄ აუარებელი საჩუქარი დღესასწაულებისათვის. ►**

## ფასები შეუვაჭრებელია. (0—ხალ.—1)

---

**ბებია** **ქალი სოფიო ილიას ასული გელ'ორდტ-ლოკიში** რომელიც მუშაობდა მიუნხენის სამეფო დედათა პოლიკლინიკუმში დაბრუნდა ტფილისში და ხელახლა შეუდგა ავადმყოფთა მიღებას. დიდი ვანქის ქ., N 4, სახლი მალაევისა, სამხედრო ექიმების სამკურნალოს პირდაპირ. (12—205—5)

---

**ექიმი** გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროთერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—კვ.—46)

---

**ექიმი** ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) ხატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—17)

---

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა. (0—586—410)

---

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ა. ა. გუტულოვისა

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—კვ.—20

---

**ექიმი** შ. მიქელაძე

**იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.** საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—70)

---

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩრაია). (0—104

---

**ექიმი** ვასილ წერეთელი **ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—160)

---

**ექიმი** ქუთაისში ფ. ი. გასნევსკი

იღებს ავადმყოფებს **შინაგან სნეულებათა** და ბებიაობისას დილით 11—1 საათამდე, საღ., 5—7 საათამდე. კაზაკოვის ქ. N 13. ღარიბებს უფასოდ. (25—კვ.—28)

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველ-დღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

**ლიმონი**—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—11½ ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. (100—ნ.—32)

---

დღეისთვის (11 აპრილი) დანიშნული

## ლექცია

## ექ. სობოლევსკისა

ალარ შესდგება, რადგან ექ. სობოლევსკის მოულოდნელად მოუხდა ტფილისიდან წასვლა. ვისაც ბილეთები ნაყიდი აქვს, შეუძლიან ფული უკანვე მიიღოს სახაზინო თეატრის კასსაში. (1—ნ.—1)

---

ორშაბათს, 12 აპრილს დანიშნულია

## კავკ. ქალთა საზო-ბის წევრთა კრება.

კრებაზე წაკითხული იქნება შემუშავებული მოხსენება, რომელიც უნდა გაიგზავნოს სრულიად რუსეთის ქალთა კრებაზე.

მეორე მოხსენება—კლუბის პროექტი მუშა ქალებისათვის.

ადრესი: ბარონის ქ., № 25, ბინა მელიქ-ბახტამიანისა. (1—1)

---

**ქართველთა შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების ყვირილის განყოფილების გამგეობა** აუწყებს აღნიშნულ განყოფილების წევრთ, რომ 11 აპრილს, დილის 9 საათზე, საზოგადოების ბიბლიოთეკაში დანიშნულია საზოგადო წლიური

## კრება

თუ ამ კრებას კანონიერი რიცხვი წევრებისა არ დაესწრო, განმეორებითი კრება გაიმართება ორი კვირის შემდეგ, ე. ი. 25 აპრილს, დილის 9 საათზე, და ეს კრება, როგორც გადადებული, კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. 1—ნ.—1

---

## გამგეობა

**◄ ყვირილის სამარხ კასისა ►**

ამით აცნობებს პატივცემულ წევრთ, რომ განმეორებითი წლიური საზოგადო ჩვეულებრივი კრება ყვირილის სამარხ კასისა დანიშნულია 20 აპრილს ამა 1910 წ. ყვირილის სამოქალაქო სასწავლებელში, სანიკიანის სახლში, ნაცვლად პირველი კრებისა, რომელიც არ შესდგა 28 მარტს. (3—ნ.—3)

---

**დაიბეჭდა და დაურიგდა**

როგორც პროვინციაში, ისე ტფილისში ხელის მომწერლებს

## „განდეგილის“

**თხზულებანი**

(2—1)

---

## ქვის ქარხანა

გვაქვს დამზადებული ძეგლები, მშვენიერი ფორმისანი, ალგეთის ქვისა და განჯის ფერად და თეთრ მარმარილოსი, დიდრონები და პატარებიც, ყველა ფასიანი. აგრეთვე ვიღებთ შეკვეთით იტალიის თეთრ მარმარილოს ძეგლებს.

შეკვეთილი ძეგლები მზადდება სუფთად, ჩვენ თითონვე ვმართავთ საფლავზე, ძეგლები მაისის გასვლამდე მეტად დაკლებულ ფასებში გაიყიდება.

ადრესი: კუკიის სასაფლაოს პირდაპირ, **ქვის ქარხანა გრიგოლ და ლევანტი მიროტაძეებისა.** (8—208—8)

---

## გაერთიანება მაინც შესაძლებელია

2*)

დემოკრატიის მოვალეობაა, სასტიკ პოლიტიკურ რეაქციის ხანაში, საქმე ისე წაიყვანოს, რომ არ წააგოს ის, რაც უკვე მოპოვებული აქვს და არ გააქარწყლოს საშუალება საზოგადოებრივ დაწესებულებათა ევოლიუციისა. რამდენიმე წლის წინად ეგრედ წოდებული „დაპყრობის ძალა“ (захватное право) იყო პატივსადები. დღეს დაპყრობის ძალით ვერას გახდები. და ვინც ძველებურად მუქარას და ყვირილს არ იშლის, მას დემოკრატიის საქმე არ აღონებს და არ აფიქრებს, რადგან პასუხის მგებლობის გრძნობა აქვს დახშული, ვინაიდან პასუხისმგებლობა სწორედ ის არის, რაზედაც ამბობს რუსთაველი: „სადაც არა სჯობს გაცლა სჯობს კარგისა მამაკაცისგანაო“.

გავიხსენოთ ისევ ჩვენი საქმეები და კონკრეტიულ მოვლენათა გათვალისწინებით ხელმეორედ დავასაბუთოთ ჩვენი აზრის სიმართლე. სახალხო თეატრის შესახებ ჩვენა ვსთქვით, რომ ამ თეატრის დანიშნულება ის არის, რომ ხალხში ესთეტიურ გემოვნებას აღვიძებდეს. რაც შეეხება ამ თეატრის გამგებლობას, სასურველია, რომ იგი ხალხის ხელში იყოს. ხოლო ეს ძლიერ ძნელი საქმეა დღევანდელ პირობებში. სოციალური წყობილება იმ ხასიათისაა დღეს, რომ ხელს უშლის ხალხის განვითარებას, მათში ესთეტიურ და არტისტიულ გემოვნების გაღვიძებას. ამიტომ დღეს სახალხო თეატრის საქმე ხალხისავე საშუალებით ვერ მოეწყობა. ეს იყო ჩემი აზრი. ამას არ შეიძლება არ დაეთანხმოთ. ეს ასეა არა მარტო ჩვენში, უფრო განათლებულ ქვეყნებშიაც. როგორც სახალხო უნივერსიტეტი, ისე სახალხო თეატრი ყველგან პროფესორების და არტისტების დახმარებით არის მოწყობილი. კლასიკური რეპერტუარი ფრანგულ დრამისა პარიზის განაპირა უბნების თეატრებში იდგმება „კომედი ფრანსეს“ არტისტების მიერ. სახალხო უნივერსიტეტის შესახებ ხომ ლაპარაკიც მეტია, ყველგან გარეშე ძალები ეხმარებიან ამ საქმეს. ბ-ნი გალიორკა სხვანაირად აყენებს კითხვას. სახალხო თეატრი მაშინ არის სახალხო, როცა მას განაგებს თვით ხალხიო. ესთეტიურ გემოვნების განვითარება სახაზინო, არტისტულ და სხვა თეატრებშიაც შეიძლება, მაგრამ ამ თეატრებს სახალხოს არ ვუწოდებთო. მაშ თუ მაგრეა, ბ-ნ გალიორკასთვის უმნიშვნელო ყოფილა თეატრი—აღმზრდელი, თეატრი—ესთეტიურ გრძნობების გამღვიძებელი. თურმე თავი და თავი ის არის, რომ თეატრს თვით ხალხი უძღვებოდეს და რა ღირსებისა იქნება ეს თეატრი, ამას დიდი მნიშვნელობა არა ჰქონია. ჩვენ გვეგონა, რომ კითხვის ამგვარად დაყენება ფრიად საზარალოა დემოკრატიისათვის, რადგან, ჩვენის აზრით, დემოკრატიამ ყოველი საშუალება უნდა იხმაროს, ყოველი ძალა უნდა გამოიყენოს, რომ თავისი ხასიათი განამტკიცოს, აზროვნება გააფართოვოს და გრძნობა გააშალაშინოს. დღევანდელ პირობებში სხვის დაუხმარებლად ხალხი ამ მიზანს ვერ მიაღწევს და დამნაშავეა იმის წინაშე ის, ვინც ცრუ იმედებს აღუძრავს მას გულში და ძალღონეს დაასაქსვინებს იმ საქმეში, რომელშიაც იგი ჯერ ხნობით მომზადებული არ არის.

აქ იწყება ჩვენი უთანხმოება პრაქტიკულ საკითხების გადაწყვეტის დროს. ბ-ნ გალიორკას აზრით ჩვენ ვღალატობთ პრინციპს—ყველაფერი ხალხისათვის, ხალხისავე საშუალებით. „ბ. ჯორჯაძე, ამბობს იგი, ამ ფორმულის პირველ ნახევარს თითქოს ღებულობს, ხოლო მეორე ნახევარს—თუ იქნება კარგია, და თუ არა და რა გაეწყობა; თითქოს ყველაფერი ხალხისათვის, ხოლო ვისი საშუალებით, ეს მაგისთვის სულ ერთიაო“. („ახ. სხივი“, № 44). და ძალიანაც შემცდარია ამაში ბ-ნი გალიორკა. ეს არასოდეს არ მითქვამს. ჩემი ოპონენტის შეცდომა აქ განზრახულია, იგი შეცდომა კი არა, უფრო სიყალბეა. და აი რატომ. როდესაც ჩემს აზრს არკვევდი, მან განგებ გამოსტოვა ის სიტყვები, რომელნიც მისთვის ხელსაყრელი არ იყვნენ. მე ვამბობდი: „თუ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო (**და მთავარი მიზეზი დღევანდელი სოციალური წყობილებაა**) ხალხის გამგებლობა ვერ ხორციელდება, ამის გულისათვის ხალხმა თეატრს

---

*) იხ. „დროება“ N 80.

არ უნდა მიაფურთხოს და გულწრფელი მუშაკთ დაუმსახურებლივ არ უნდა შეურაცხყოს“. სიტყვები, რომლებსაც ეხლა ხაზი გავუსვი, ბ-ნ გალიორკას თავის ციტატაში სრულიად გამოტოვებული აქვს, თითქოს არც კი დამიწერია. და მთელი ძალა კი ამ სიტყვებშია. მთავარი საბუთი სოციალიზმის განვითარებისა სწორედ აქ იმალება. მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი დემოკრატიულ ფორმულის პრაქტიკულად განხორციელებისა აქ იბუდება. და ეს აზრი, ჩემ მიერ გამოთქმული, დაუმალა თავის მკითხველებს დემოკრატიის უებარმა მოციქულმა. ბ-ნი გალიორკა მახვილი გონების პატრონია, მაშ თვითონვე გამონახოს სიტყვა თავის საქციელის დასახასიათებლად!

ამგვარად ჩვენი აზრი სახალხო თეატრის შესახებ ამნაირია. თეატრი უწინარეს ყოვლისა ხელოვნების ტაძარია. იგი მისაწვდომი უნდა იყოს ხალხისათვის. თუ შესაძლებელია, რომ თეატრის საქმე ხალხის საშუალებით და გამგებლობით მოეწყოს, ამ გარემოებას სიამოვნებით უნდა ვეგებებოდეთ, ხოლო თუ, სოციალურ პირობების წყალობით, ხალხი თავის ძალღონით ვერ გაუძღვება თეატრს, ამ გარემოებას დემოკრატია იმ თვალით უნდა უყურებდეს, როგორითაც იგი უყურებს თანამშრომლობის საჭიროებას აღზრდა-განათლების საქმეში. არა გვონია, რომ ამ ჩვენს მოსაზრებაში დემოკრატიის ღალატის განზრახვა იმალებოდეს.

ახლა წ.-კ. საზოგადოების საქმე გავიხსენოთ. ჩვენი აზრი ის არის, რომ ამ ჩვენს დაწესებულებას, რომელსაც კულტურული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, უნდა გავუფრთხილდეთ და განსაცდელს ავარიდოთო. სოციალ-დემოკრატებს არ ესმით ჩვენი სურვილი და სიმხდალეს გვწამებენ. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ პოლიტიკურ ბრძოლის გაჩაღებისა იმ დაწესებულების ფარგალში, რომელსაც მარტოოდენ გამნათლებელი ხასიათი უნდა ჰქონდეს და სხვა არაფერი. ბ-ნი გალიორკა კი სულ სხვა აზრისაა. წაიკითხეთ მისი სიტყვები და გადასწყვიტეთ, რამდენად სასარგებლოა დემოკრატიულ საქმისთვის საკითხის ამგვარად დაყენება დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში: „ჭეშმარიტი დემოკრატი ცდილობს... თავისუფალი წყობილების დამყარებას. ის თავის მოქმედებას ბიუროკრატიის სურვილებს და შეხედულებებს კი არ უთანხმებს, მას კი არ ეგუება, არამედ ცდილობს ხალხის გათვითცნობიერებას და მის ორგანიზაციულ შეერთებას. რამდენადაც იგი ემსახურება ამ მიზანს, იმდენად იგი მუდამ კონფლიქტშია არსებულ რეჟიმთან, იმდენად ის კავშირები თუ ორგანიზაციები, რომლებშიაც ის მოქმედებს, სავსეა „ფათერაკებით“. (ეს იწერება შინაგან საქმეთა მინისტრის იმ ცირკულიარის გამო, რომელზედაც ჩვენ მივუთითეთ, როგორც იმგვარ მოვლენაზე, რომელსაც ანგარიში უნდა გავუწიოთ „საზოგადოების“ უზრუნველსაყოფად). „ჭეშმარიტი დემოკრატი, განაგრძობს გულადი მწერალი, ყოველგან და ყოველთვის თავის მოქმედებას უმორჩილებს ერთ უმთავრეს მიზანს: ხალხის გათვითცნობიერება და შეკავშირება. და თუ გარეშე ძალა სიცოცხლეს მოუსპობს ასეთ დაწესებულებებს, გათვითცნობიერებული ხალხი ყოველთვის მონახავს გზას და საშუალებას თავის ძალების მოსახმარად“! (ibid. № 45).

არ გეგონოთ, რომ ყოველივე ეს სახელმწიფო სათათბიროში მოქმედების შესახებ იყოს ნათქვამი და არც ის გეგონოთ, რომ იგი მოწოდება „თავისუფალ წყობილების დამყარებისათვის“ და „ორგანიზაციულ შეერთებისთვის“ 1905 წელში ყოფილიყოს დაწერილი. არა, ყოველივე ეს დღეს იწერება წ.-კ. საზოგადოების შესახებ წმინდა პრინციპის თვალთსაზრისით რომ შევხედოთ საგანს, დემოკრატი მართლაც ასე უნდა ლაპარაკობდეს და ასე უნდა იქცეოდეს. ტაქტიკური სარგებლობის საზომით კი რომ გავსინჯოთ საგანი, ამგვარი ტაქტიკა, კულტურულ დაწესებულებაში მოღვაწეობის გამო აღიარებული, დღევანდელ პირობებში, პირდაპირ უგუნურებად და დაბრმავებად უნდა ჩაითვალოს. დღეს თითქმის ერთადერთი სამოღვაწეო ასპარეზი—კულტურული მოქმედება დარჩა. პოლიტიკურ მოძრაობის ნასახიც კი არსად სჩანს. პროგრესიული ელემენტები სწავლას, ცოდნის შეძენას და კულტურის აღორძინებას დაეწაფნენ. ამ კულტურულ ნიადაგზე მუშაობაც შეფერხებულია, გაძნელებულია, გაფათერაკებული. ბნელი ძალა ყოველ საშუალებას ხმარობს, რომ ამ მოღვაწეობაშიაც „კრამოლა“ აღმოაჩინოს და აი ამ დროს მოწინავე ჯგუფის ბანაკიდან გაისმის ხმა, ვიღონოთ ყოველი ღონისძიება კულტურულ დაწესებულებათა მოსასპობად, ფიქრი არ არის! გათვითცნობიერებული ხალხი გზას მონახავს თავის მოქმედებისათვისაო! ეს ჩვენ დემოკრატიულ საქმის დაღუპვად მიგვაჩნია და ამგვარი ყოყლიჩობა პასუხის მგებლობის გრძნობას მოკლებული დემაგოგობაა და სხვა არაფერი.

გადავსინჯოთ ახლა ტერიტორიის საკითხი. აქ უნდა მოვახსენოთ ბ-ნ გალიორკას, რომ მან შეუფერებელი ხრიკი იხმარა საგნის დასაბნელებლად. მოკამათემ უნდა იცოდეს, როდესაც ერთს ადამიანს და მის ნაწერს ეკამათები, სხვისი ნაწერის შინაარსი და დედა-აზრი კი არ უნდა ჰქონდეს სახეში, არამედ სწორედ იმისი, ვისაც ეკამათები. ბ-ნი გალიორკა კი ლელის წერილს, „დროებაში“ შემთხვევით დაბეჭდილს, ჰგულისხმობს, მე კი მეკამათება. სჩადის ამას იმიტომ, რომ ლელის წერილში ჰპოვებს იმას, რაც მისთვის ხელსაყრელია, მოპირდაპირის გაბათილებლად. ჩემს ნაწერებზე კი კრინტს არ იღებს და ლელის მოუფიქრებელ აზრს მთელ ბანაკს ახვევს. აი, თუნდა თქვენ თვითონ გასინჯეთ. არ ვიცი საიდან, ხოლო ლელს თავში მოუვიდა ამგვარი აზრის გამოთქმა: „მამულების შესყიდვის საჭიროებას ყველა ხსნის წმინდა ნაციონალური მოსაზრებითა“, რადგან გლეხს ნაციონალური მოსაზრება არ ესმის, საქმე ეკონომიურ ნიადაგზე უნდა იყოს დაყენებული. ამას გლეხი უფრო გაიგებსო. აქედან ბ-ნ გალიორკას ასეთი დასკვნა გამოჰყავს: „ბ. ლელი აშკარათ ამბობს, რომ მამულების შეყიდვა უნდა მოხდეს ნაციონალური მოსაზრებით, მარა გლეხებს ეს არ ესმითო... როგორც ვხედავთ, განაგრძობს იგი, ჩვენი ინტელიგენცია და გლეხი სულ სხვა და სხვა თვალით უყურებენ მიწის ყიდვას. პირველს ამოქმედებს „ნაციონალური“ მოსაზრება, მეორეს ეკონომიური... კითხვას ეკონომიურ ნიადაგზე იმიტომ კი არ აყენებენ, რომ მას მოითხოვს გლეხის გაჭირვებული მდგომარეობა, არამედ იმიტომ, რომ მეორე, რაღაც უზნაესი მოსაზრებას (ნაციონალურს, უკეთ ნაციონალისტურს) გლეხი ვერ გაიგებს, არ ამოძრავდება და მიწებს არ იყიდის და რომ ასე მოიქცნენ გლეხები, ამისათვის საჭიროა ნაციონალური მოსაზრება დროებით „ჯიბეში ჩავიდოთ“ და კითხვა ეკონომიურ ნიადაგზე გადვიტანოთო“. („ჩვენი გაზეთი“, № 2).

ყველა კარგი, ბ-ნო გალიორკა, მაგრამ ნამუსიც კაი საქონელია. ვის ეკამათებით? თუ იმ მიმართულებას, რომლის აზრის განმარტება ვიკისრე ჩემს წერილებში „დემოკრატიის გაერთიანება“, უბრალო ზრდილობა მაინც მოითხოვს, რომ წაგეკითხათ მაინც ის, რაც დავწერე ხსენებულ საგნის შესახებ. მაგრამ საქმე არც ასედაც არის. წაკითხულიც გაქვთ, დახსომებულიც. მაგრამ იგი ნაწერი აბათილებს თქვენს საპოლემიკო პოზიციას და ქურდულად დამალეთ იგი და გამოეკამათეთ „დროებაში“ იმ წერილის ავტორს, რომელმაც თავისი პირადი აზრი გამოსთქვა. აი მოისმინეთ, რასა ვწერდი და თქვენ თვითონ მიხვდებით, რა სიყალბეს სჩადიოდით, ამას რომ ანგარიში არ გაუწიეთ. მე ვამბობდი (და ეს ჩემი პირადი აზრი კი არ არის, არამედ მთელი მიმართულებისა): „ტერიტორიის საკითხი, დემოკრატიის შეგნებით, ორ ელემენტისაგან უნდა შესდგეს. მისი მნიშვნელობა ორ მოსაზრებიდან გამომდინარეობს მისთვის. ტერიტორია საჭიროა აგრარულ საკითხის გადასაწყვეტად... რევოლიუცია საქართველოში მიწის სივიწროვის ნიადაგზე გაჩაღდა. ხალხს მაშასადამე, მიწა ესაჭიროება და **ტერიტორია უნდა დავიცვათ იმიტომ, რომ გადავარჩინოთ ხალხი ეკონომიურ გაჭირვებისაგან, შევიწროებისაგან და შიმშილისაგან.** ტერიტორია გვესაჭიროება როგორც საფუძველი და მატერიალური ნიადაგი ეროვნულ კულტურის ასაყვავებლად. ტერიტორია ჩვენს თვალში ეროვნული ერთეულია, რომელიც უნდა იყოს ხელუხლებელი. ამ ეროვნულ ერთეულის ნიადაგს არ უნდა გადავცდეთ. და **დემოკრატიის შემეცნებაში უნდა იყოს იგი მცნება მკვიდრად გამაგრებული.**“

ამგვარად, ის მიმართულება, რომელსაც ებრძვის ს.-დემოკრატია, ეკონომიურ ელემენტს არა თუ არ უქვემდებარებს ნაციონალურს, არამედ პირდაპირ ამბობს, მიწა საჭიროა ხალხის შიმშილისაგან გადასარჩენადაო. ხოლო არც ნაციონალურ ელემენტს ჰმალავს, „ჯიბეში არ სდებს“. იგი მიმართულება პირიქით, ამბობს, რომ გლეხობას უნდა შევაგნებინოთ ეს აზრიცაო. ჩვენ მოპირდაპირეთ ჰგონიათ, რომ ჩვენს ხალხში ნაციონალურ გრძნობის განუვითარებლობა იმის ინტერნაციონალურ აზროვნების სიმწიფეს მოასწავებს, ჩვენ კი გვგონია, რომ ეს ნაკლი, საუბედუროდ, სათემო კარჩაკეტილობის ნაშთია, რომელიც მეოცე საუკუნეშიაც არ გამქრალა. იგი ველურობის და არა კულტურის მაჩვენებელია. და დემოკრატის მოვალეობაა აუხსნას თვალი გლეხობას და შეაგნებინოს ის, რაც ჯერ ვერ შეუგნია,

მაშ ასე, ბ-ნმა გალიორკამ ახალი სიყალბე ჩაიდინა, მკითხველს დაუმალა ჩვენი აზრი და გამოეკამათა სხვას ჩვენი ფიზიონომიის გაბიაბრუებისათვის. ამას უწოდებთ დემოკრატიულ ზნე-ჩვეულების სიფაქიზეს? ამ სიყალბისათვის დემოკრატია არ დაგიმადლებთ, რადგან ამგვარი საპოლემიკო საშუალება გახრწნილებას სთესავს იქ სადაც, სიწმინდე უნდა იყოს დაცული!

რაც შეეხება ტერიტორიის საკითხის გარშემო დემოკრატიის გაერთიანებას და შეკრებას, ამაზე შემდეგ.

**არჩილ ჯორჯაძე.**

---

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ დაბეჭდილ წერილში „გაერთიანება მაინც შესაძლებელია“ შემდეგი შეცდომები შეპარულა:

**დაბეჭდილია:** „და ამას ჩავდივართ დემოკრატიის ინტერესების გულისათვის, დემოკრატიულ პრინციპის სრულ განადგურების და საქმის საბოლოოდ დამარხვის შემდეგ...“

**უნდა იყოს:** და მას ჩავდივართ... საქმის საბოლოოდ დამარხვის შიშით“.

**დაბეჭდილია:** „ჩვენი მოქმედების გეგმა ოპორტიუნიზმი არ არის, არამედ შიშით არსებულ პირობების ფარგლებში ძველ და წინ და წინ დასახულ მიზნის განსახორციელებლად“.

**უნდა იყოს:** „ჩვენი მოქმედების გეგმა ოპორტიუნიზმი არ არის, არამედ მუშაობა არსებულ პირობების ფარგლებში ძველ და წინ და წინ დასახულ მიზნის განსახორციელებლად“.

## დღიური

### ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხოთ.

ნუ განიკითხავ, რათა არა განგიკითხონ,—ეს ერთი იმ მცნებათაგანია, რომელიც მაცხოვარმა დაუტოვა კაცობრიობას საცხოვრებლად, მაგრამ რომელიც გარყვნილი და გადამახინჯებული საბოროტო იარაღია დღევანდელ ცხოვრებაში. არა-განკითხვა და შებრალება პირბადეა მაცდურისა და უკეთურის და თავშესაფარი არა საზოგადოებრივობისა და საძაგლობისათვის. ნუ განიკითხავ, ამბობს მტერი, რომელსაც ხელებიც კი არ გაუბანია ადამიანის სისხლისაგან; ნუ განიკითხავ, ამბობს ორგული და დამბეზღებელი, რომელსაც საკუთარის ერთის დღის კმაყოფილებისათვის შეუწირავს მოძმეთა მრავალის წლით დატანჯვა; ნუ განიკითხავ, ამბობს ყაჩაღი და მძარცველი, რომლის თითოეული ლუკმა სხვისის გაღატაკებით არის მოპოვებული. ნუ განიკითხავთ, ამბობს ყოველი სულმდაბალი, რომელიც ჯერ არ გახრწნილა ზნეობრივად, მაგრამ ისეთს ნიადაგზე შემდგარა, რომ დღეს თუ ხვალ დაექანება სისწრაფით ფსკერისაკენ. ნუ განიკითხავთ, გაიძახიან ხმა მაღლა არა უკეთურნი, ხოლო გულსუსტნი, საყოველთაო შებრალების მქადაგებელნი და საზოგადოების დამაუძლურებელნი, დამშლელნი-დამარღვეველნი.

ესეთი განუკითხველობა როგორც მტრისა ისე მოყვრისა საუცხოვო დამახასიათებელია ჩვენი დღევანდელ საზოგადოებისა. იესოს დიდი მოძღვრება ჩვენთვის ის კი არ არის, რომ მით ტვირთი შევუმსუბუქოთ უზომოდ დატანჯულსა და ნაწამებს ადამიანს, არამედ ის საშუალებაა, რომლითაც ხელს ვუწყობთ საზოგადოების მავნე წევრების ზრდასა და გაძლიერებას. მართალია, ხანდახან დიდს სასტიკობას ვიჩენთ და დაუმსახურებლადაც ვსჯით ადამიანს, მაგრამ საერთოდ ჩვენი ახლანდელი ცხოვრება აგებულია იმ უნორმო, ზნეობრივ კანონს მოკლებულს, ამორალურ საფუძველზე, რომელიც დიდის საზოგადოებრივობის გამომხატველი კი არ არის, არამედ სრული უსამართლობისა და ამასთანავე გადაგვარებისა. არ განკითხვას ვემყარებით ბოროტსა და კეთილში და ეს არ არის შემოქმედება ცხოვრებაში, არ არის აშენება და შეკვრა ნამდვილი სამართლიანი საზოგადოებისა,

როცა ერი იმყოფება ჩვენისთანა პოლიტიკურ-ეროვნულ მდგომარეობაში, როცა ჩვენი სოციალური ურთიერთობა მოითხოვს სრულს გარდაქმნას, როცა მოქალაქობრივ მოვალეობის შეგნება ეგოდენად სუსტია ჩვენში, როცა ირგვლივ გაუტანლობა, სიყალბე და სიცრუეა გაბატონებული, როცა პატიოსანი და კეთილშობილი ერთია და უპირო ათიათასი, მაშინ არ-განკითხვაზე ლაპარაკი, შებრალების და მიტევების ქადაგება ბოროტებაა, ერის დამღუპველი. ამ ყოფაში არ-განკითხვა, არ-დასჯა ხომ იმას ამყარებს, რომ ვინც როგორ უნდა მოიქცეს, იგი პასუხს არ მიიღებს ჩვენგან? ამ ყოფაში შებრალება ხომ გაჩუმებაა მტრის გალესილ მახვილის წინაშე? პატიება ხომ არ დანახვაა დამნაშავის ხელით დანთხეულ სისხლისა? ეს ხომ ისაა: დეე, ისმოდეს დაჩაგრულის კვნესა და მოთქმა; დეე, სდიოდეს გამოულევადი ცრემლი ფეხით გათელილ პიროვნებას; იყოს დღემუდამ შიმშილი, სიბნელე და სასოწარკვეთილება!

შებრალება და პატიება ეს ხომ იმას ნიშნავს—ნუ დაისჯება დამნაშავე, მაგრამ ნუ მოეხსნება მონებს მისი ხელით დადებული უღელი; ნუ ვიქნებით სასტიკნი ერთისათვის, ხოლო ნუ ვიქნებით შემბრალებელნი იმ მრავალ ობლისა, ღატაკისა, დევნილისა, რომელთაც აწამებს ეს ერთი! არ დასჯა დანაშაულისა—ამით ხომ იმას ვამბობთ: დეე, იყოს დანაშაული, იყოს გარყვნილება, ღალატი, ორპირობა, ანგარობა—ამით საზოგადოებას არ ევნება, ამით ერს არ მოელის განსაცდელი! ნუ მოვთხოვთ სასტიკს პასუხისმგებლობას დამნაშავესა და ნუ დაატყდება რისხვა საზოგადოებისა გამცემელს—ამით ხომ იმას ვქადაგებთ: გამრავლდით ორგულნო, უკეთურნო, ქვეყნის მტრებო, დამბეზღებელნო! თქვენ არა მოგელით განკითხვა ჩვენგან, ჩვენ ყოვლის შემბრალებელნი ვართ!..

შემბრალებელნი ვართ, არა პასუხის მთხოვნელნი იმიტომ, რომ უმოქმედონი ვართ, არაფრის გამკეთებელნი, იმიტომ, რომ შებრალება პასივობაა, ადვილი საქმეა და ამასთანავე ისეთი, რომელიც ჩვენც გვანთავისუფლებს ყოველის პასუხის მგებლობისაგან. ამ პასივობისა და უმოქმედობაზე ვამყარებთ მთელს ჩვენს არსებობას და ეს არის მიზეზი, რომ ჩვენი საზოგადოება განუვითარებელია, ერი უძლური, ადამიანი პიროვნება-დაკარგული...

არა, ეს გზა დასაგმობია, უკუგდასაგდები! სულით აღდგენა, განწმენდა და განახლება—აი, რა უნდა განვილოთ, თუ გვინდა, რომ მოვიახლოვოთ პოლიტიკური და სოციალური განახლება! სულით სუსტნი, რომელთაც არ მოეპოვებათ მაღალი და მტკიცე ზნეობრივი რწმენანი, ვერასოდეს ვერ განაახლებენ ერს, ვერ მიაღწევენ აღთქმულს ქვეყანას. ხოლო ძლიერი ადამიანები არ იბადებიან იქ, სადაც არ არის სასტიკი შეუბრალებელი პასუხისმგებლობა, სადაც ყოველ უზნეო მოქმედებას არა აქვს თავისი გამოცხადებული სახელი, სადაც ყოველი დამნაშავე, საზოგადოების მავნე წევრი არ არის დასჯილი ისე, როგორც მოითხოვს მისი საქციელი.

ცხოვრება მძიმე ტვირთია და დედამიწა ყვავილებით არაა მოფენილი და სათამაშოდ გაჩენილი. შებრალება და განურჩეველი სიყვარული ღვთაების უფლება და მოვალეობაა, ჩვენთვის კი ბოროტმოქმედება და შეუწყნარებელია. სამოთხეში სხვა საზომია საუკეთესო ურთიერთობის დასამყარებლად ამ ქვეყნად კი სასტიკი პასუხისმგებლობა ყოველ ადამიანისა ყოველ ნაბიჯისათვის. ყოველს უნდა მიეზღოს ის, რაც მან დაიმსახურა. მით უფრო გარდაუვალია ეს მსოფლიო კანონი ჩვენისთანა ერისთვის, რომელსაც გარშემო მრავალი მტერი არტყია და შიგნით მოუწყობელი, დაულაგებელი და არეულ-დარეულია.

არა, მხოლოდ სასტიკობა და სასჯელი შეუბრალებელი—სხვა გზა არ არის ჩვენთვის!

**სიტყვა.**

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

### სხვა და სხვა კანონ-პროექტები

9 აპრილის სხდომაზე სათათბირომ მიიღო 19 წვრილი კანონ პროექტი. კამათში მონაწილეობა მიიღო დზიუბინსკიმ, გულკინმა, მღ. ტრეგუბოვმა, შილომ, გაიდაროვმა, ლისიჩკინმა, ეგოროვმა.

უკამათოდ მიიღო სათათბირომ ორი კანონ-პროექტი, რომლითაც სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვით გადადებულ ფულის გარდა, 10 მილიონი მანეთი კიდევ უნდა გადაიდოს პირველ-დაწყებით სწავლა-განათლების საჭიროებისათვის. მომხსენებელმა კოვალევსკიმ იმედი გამოსთქვა, რომ 1920 წელს განხორციელებულ იქნება საყოველთაო სწავლა

შემდეგი სხდომა 26 აპრილისთვის გადაიდო. ამ დღისთვის სათათბიროს განსახილველად წარედგინება პროექტი მოსამსახურეთა ნორმალურ დასვენების შესახებ სავაჭრო და სახელოსნო დაწესებულებებში.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 აპრილი.

### საზღვარ-გარედ.

**სტამბოლი.** დეპუტატმა ბოლგარელმა პანჩო დორევმა გამოაქვეყნა მის მიერ დაარსებულ ახალ პროგრესიულ პარტიის პროგრამა. პარტიაში შესვლა შეუძლიან ყველას, ეროვნების განურჩევლად. პარტიის მიზანია დაუახლოვოს ოსმალეთის ერები ბოლგარიას. პარტია დაიცავს იმპერიის მთლიანობას, წინააღუდგება სეპარატისტულ მოძრაობას და უცხო სახელმწიფოების გავლენას, უახლოვდება ახალგაზდა ოსმალთა პარტიას, მაგრამ, სხვათა შორის, მოითხოვს საყოველთაო არჩევნების უფლებას, კრებების თავისუფლებას, ცენტრალიზაციის შესუსტებას. ამას გარდა პარტია მოითხოვს, რომ მართველობაში მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ მცხოვრებლების წარმომადგენლებმა, მოითხოვენ სწავლა-განათლების გავრცელებას, სარწმუნოების თავისუფლებას. პარტიის პროგრამით გლეხებს უნდა მიეცეთ საკმაო მიწა, იმ პირობით კი, რომ არ უნდა დაირღვას კერძო მესაკუთრეების უფლება და მთავრობამ უარი უნდა სთქვას მაჰმადიანთა იმიგრაციის პოლიტიკაზე.

**ნიუ-იორკი.** გარდაიცვალა მარკ ტვენი.

**სტამბოლი.** ტრიპოლისის ვალი ოსმალეთის მთავრობას კავართან მომხდარ ინცინდენტის შესახებ შემდეგს ატყობინებს: კავართან, საფრანგეთის საზღვრის მოსაზღვრე სადარ-ჯოს ახლო, სუდანის მსროლელთა საფრანგეთის რაზმმა ჩაიბარა ქარავანი, რომელსაც თან მისდევდა ოსმალეთის რაზმი. ოსმალეთის რაზმში შედიოდნენ ტიბოს და კატერუნის თემების მსროლელები. ქარავანის ჩაბარების შემდეგ საფრანგეთის რაზმი თავს დაესხა ოსმალეთის რაზმს, რომელიც უკვე დაიშალა. საფრანგეთის რაზმა შური იძია ტიბოს თემზედ, ამ რამდენიმე ხნის წინედ ტიბოს თემის მსროლელები ჩაუსაფრდნენ საფრანგეთის რაზმს და მოჰკლეს 20 სუდანელი მსროლელი და ერთი აფიცერი. მოკლულია ტიბოს თემის ბევრი მსროლელი. ქარავანი გააცილა საფრანგეთის რაზმმა და თან წაიყვანა დაჭრილები.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. სესხის შესახებ კანონ-პროექტის განხილვის დროს, სახელმწიფოს დაცვის მინისტრმა გეორგიმ განაცხადა: სესხით უნდა დაიფაროს ის ხარჯი, რომელიც სამხედრო უწყებას 1908/9 წლებში მოუვიდა. ამ ხანებში ბალკანეთზე მოსალოდნელი იყო ომი. თუ ომი თავიდან ავიცილეთ, ეს ხელმწიფე-იმპერატორს უნდა მიეწეროს, რადგან მეფეს არ უნდოდა ომი. ომის მოლოდინის დროს ჩვენ ძლიერი პოზიცია დავიჭირეთ და ამან უზრუნველჰყო მშვიდობიანობა და დაგვიცვა ომის შედეგებისაგან.

### სპარსეთი

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. ლლოიდი შეეკითხა მთავრობას, რა თვალით შეხედავს მთავრობა იმ გარემოებას, თუ სპარსეთში სხვა სახელმწიფომ აიღო რკინის გზების კონცესიაო. მაკკინონ-ვუდმა განაცხადა, მომზადებული არა ვარ, რომ პასუხი გაგეცთ ასეთ ზოგად კითხვაზეო. დილონმა სთქვა, გარეშე საქმეთა მინისტრი გრეი ხომ არ გაგვაგებინებს, რა პირობები წარუდგინეს რუსეთმა და ინგლისმა სპარსეთს და ხომ არ გამოაქვეყნებს ამის შესახებ გამართულ მიწერ-მოწერასაო. მაკკინონ-ვუდმა უპასუხა, სპარსეთის მთავრობამ შესაძლებლად ვერ დაინახა მიეღო ის პირობები, რომლებიც ჩვენ წარვადგინეთ და ამის გამო სესხზე უარი განაცხადა. მთავრობას განზრახვა არა აქვს მიწერ-მოწერა გამოაქვეყნოსო. დილონი გაკვირდა ამ პასუხით, რა მიზეზია, რომ მთავრობა უარს გვეუბნება შეგვატყობინოს ის პირობები რომლებსაც ბერლინსა და პეტერბურგში საჯაროდ იხილავენო. მაკკინონ-ვუდმა სთქვა, რომ მხედველობაში მივიღებთ ამას, თუ დეპუტატები მოითხოვენო. დილონმა უპასუხა, სასურველად მიმაჩნია, რომ გვაუწყონ ეს პირობები. საინტერესოა გავიგოთ, ინგლისი წინაამღდეგობას გაუწევს სპარსეთს, რომ სესხი სხვაგან აიღოს თუ არაო. მაკკინონ-ვუდის სიტყვით მთავრობას ეს განზრახვა არა აქვს.

### ჰაერში ფრენა

**კელნი.** იმპერატორის სურვილის თანახმად ჰამბურგიდან მაინცსა და ვისბადენში გაფრინდა სამი დირიჟაბლი. მეფე-დედოფალი და აუარებელი ხალხი დირიჟაბლების ჩამოშვებას ჰამბურგის სადგურზედ უცდიდნენ.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** საერთ განათლების მინისტრმა მინისტრთა საბჭოში შეიტანა საჩქარო წინადადება კერძო სკოლების შესახებ. ახალი წესებით კერძო სასწავლებლები სამ რიგად იყოფიან: დაბალი, საშუალო და უმაღლესი. კერძო სასწავლებლები შეიძლება იყოს ვაჟებისა და ქალებისა. ამას გარდა, შეიძლება რომ კერძო სასწავლებლებში ორთავეს სქესებს ერთადაც ასწავლიდნენ. ორთავეს სქესის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება შეიძლება საერთ განათლების მინისტრის, საშუალო სასწავლებელში სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით. უმაღლეს სასწავლებელში სწავლება სწარმოებს სახელმწიფო ენაზედ, გარდა არა მართ-

მადიდებელ სარწმუნოების სამღრთო სჯულისა და სამშობლო ენისა. კერძო დაბალ და საშუალო სასწავლებლებში შეიძლება ყველა საგნები სამშობლო ენაზე ასწავლონ. გარდა რუსული ენისა და ლიტერატურისა, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ეს სასწავლებლები ისეთ ადგილებში უნდა მოქმედებდნენ, სადაც მცხოვრებლების უმრავლესობა ერთ ენაზედ ლაპარაკობს. ისეთ სასწავლებლებში, სადაც სხვა და სხვა ეროვნების ბავშვები სწავლობენ. სწავლება რუსულ ენაზედ სწარმოებს, კერძო სასწავლებლებში სახელმძღვანელოებად უნდა იხმარონ სამინისტროს, ან ადგილობრივ სამოსწავლო საბჭოების მიერ მოწონებული სახელმძღვანელოები. არა-ქრისტიანებს და სექტანტებს სასწავლებლის გახსნა შეუძლიანთ მხოლოდ თავიანთ სარწმუნოების ბავშთათვის.

**ოდესა.** სადგურ ზოლგოროდნიაზე გარდაიცვალა უკრაინელების ცნობილი არტისტი და დრამატურგი კრაპივნიცკი.

**მოსკოვი.** ოფიციალურის ცნობით, მიძინების ტაძარში გაცარცულ ღვთისმშობლის ხატისთვის ქურდებს აუცლიათ შემდეგი ძვირფასი ქვები. ოქროს ხუთი გირვანქიანი გვირგვინი ხუთი ჯიღათი და ათი ღილით, გვირგვინს გაკეთებული ჰქონდა 478 სხვა და სხვა სიდიდის ალმასი, ორი დიდი ზურმუხტი და 42 პატარა, 5 რუბინი, იაგუნდები და ლალი: ოქროს ბეჭედი ზურმუხტებით და ბრილიანტებით, მარგალიტის 419 მარცვალი და 54 დიდი ალმასი. მაცხოვრის ხატისთვის აუცლიათ: ოქროს გვირგვინი 138 ალმასით, 55 მარგალიტით- სამი ზურმუხტით და 1 იაგუნდით. მაცხოვრის ოქროს სამოსელისთვის აუცლიათ: 2 ზურმუხტით, ლალით და მარგალიტით მორთული ღილი. წაუღიათ ბრილიანტის გარსკვლავი ყელსაბამი და ბროში, სულ 348 ბრილიანტი და სხვა.

**ბრესტ ლიტოვსკი.** ზოგდავსკი, რომელსაც ქალაქის ფულის ცუდად შენახვისთვის შენიშვნა მისცეს, ჭკუიდან შეცდა. მან დანით დასჭრა ფერშალი და მოსამსახურე-ქალი და თითონაც მალე გარდაიცვალა.

**ხერსონი.** ოლვიოპოლში რამდენიმე შეიარაღებული ბოროტ-განმზრახველი დაეცა ლემბერგის სახლს. პოლიციის და ბოროტ-განმზრახველებს შეტაკება მოუვიდათ. დააპატიმრეს 4 ბოროტ-განზრახველი.

**მოსკოვი.** სადამოს 10 საათზე, მიძინების ტაძარში კანკელის იქით ნახეს კალუგის გუბერნიის გლეხი ფომახი, 18 წლისა. ფომანს გაუქურდავს ღვთის-მშობლის ხატი. მისი ჩვენებით იპოვეს მოპარული ძვირფასი ნივთები.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **განკარგულება.** ახალის განკარგულებით ტფ. ყველა თეატრში წარმოდგენები უნდა თავდებოდეს არა უგვიანეს ღამის 12 საათისა.

✦ **ექიმ ხერინოვის გარდაცვალება.** 7 აპრილს ქუთაისში უეცრად გარდაცვლილა ექიმი ს. ი. ხერინოვი. განსვენებული მთელი ოცდაათი წელიწადი მუშაობდა ქუთაისში და დიდძალი ხალხიც ეტანებოდა. განსვენებული თავმჯდომარე იყო ქუთაისის სამკურნალო საზოგადოებისა.

✦ **წვრილი კრედიტის საზოგადოება.** როგორც შევიტყეთ, სოფ. ლილოში (ტფ. მაზრა) და სოფ. ოძისში (დუშ. მაზრა) არსდება წვრილი კრედიტის საზოგადოებანი. ორივე სოფლის საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა, ხოლო წვრილი კრედიტის ინსპექტორმა ბ-ნმა ლავიდოვმა უკვე წარუდგინა ეს შუამდგომლობანი უმაღლეს მთავრობას საბოლოოდ დასამტკიცებლად. განზრახულია მიეცეს ლილოს მოკლე ვადიანი სესხი 1000 მან. და გძელ ვადიანი 1000 მან. ხოლო სოფ. ოძისს: მოკლე ვადიანი—5000 მან., გძელ ვადიანი—1000 მან. ამ საზოგადოებათა დაარსების ინიციატორი სადგილ-მამულო კომისიის ინსტრუქტორი იყო. სასურველია, რაც შეიძლება მეტმა სოფელმა მიბაძონ ოძისსა და ლილოს.

✦ **ლექცია ალარ შესდგება.** რადგან ექიმ სობოლევსკის მოულოდნელად სხვაგან წასვლა მოუხდა, ამიტომ ალარ შესდგება დღეისთვის დანიშნული მისი ლექცია სახაზინო თეატრში.

✦ **კავკ. ქალთა საზოგადოება.** ხვალ, 12 აპრილს, ბარონის ქ., № 25, მელიქ ბახტამიანის ბინაზე, მოხდება კავკ. ქალთა საზოგადოების კრება. კრება მოისმენს ორ მოხსენებას, ერთი პეტერბურგშია გასაგზავნი სრულიად რუსეთის ქალთა კრებაზე, ხოლო მეორე შეეხება კლუბის პროექტს მუშა ქალებისთვის.

✦ **განთავისუფლება.** მესამე დღეა ციხიდან გაანთავისუფლეს ჟურნალისტი, „რუსსკოე სლოვოს“ კორესპონდენტი ი. ნ. კობიაკოვი, რომელიც ამ ორი თვის წინად შეიპყრეს.

✦ **ჟურნალისტთა სასამართლო.** 9 აპრილს ჟურნალისტთა სასამართლოს წევრებს ყიფიანისა და ნაგურსკის თანადასწრებით სხდომა ჰქონდათ ბრალდებულთათვის დამცველების მოწვევის შესახებ. ბრალდებულთ სურვილი განაცხადეს, თავიანთ დამცველნი მოიყვანონ მომავალ სხდომაზე, რომელიც დანიშნულია ორშაბათს, 12 აპრილისთვის.

✦ **სანიტარული დათვალიერება.** გუშინ, 10 აპრილს, ქალაქის სასანიტარო სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის სასანიტარო კომისიამ მრავალი ოქმი შეუდგინა სხვა და სხვა სავაჭრო დუქნებისა და მაღაზიების პატრონებს პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე, მეცხრე და მეათე საპოლიციო უბანში.

✦ **ქალაქის ლომბარდი.** მარტის განმავლობაში ქალაქის ლომბარდს დაგირავებულ ნივთებში სხვა და სხვა პირთათვის მიუცია სულ 31,014 მან., ამავე ხნის განმავლობაში გამოუხსნიათ ლომბარდიდან 26,997 მან. ნივთები. საჯარო ვაჭრობით ლომბარდს გაუყიდნია 762 მან. ნივთები.

✦ **ლექცია.** კვირას და ორშაბათს, 11—12 აპრილს, ზუბალაშვილების სახალხო სახლში ექიმ ლეონ სტეფანეს ძე ოჰანჯანოვი წაიკითხავს ლექციას „ქორწინება ჰიგიენის თვალსაზრისით“.

✦ **მოსწავლეთა დათხოვნა.** გუშინ, ათ აპრილს, ტფილისის ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებელში მოსწავლენი დაითხოვეს სააღდგომოდ.

✦ **ნოქართა საზოგადოება.** დღეს ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია ტფ. ნოქართა საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება ნორმალურ დასვენების შესახებ საკითხის განსახილველად.

✦ **მკვლელობა.** ამ დღეებში სოხუმში მოუკლავთ ვიღაც ავაზაკებს აგრონომი თავ. ალექსანდრე ბებუთოვი და დაუჭრიათ მისი მხლებელი. განსვენებული შვილი იყო ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსნის გენ.-მაიორის არსენ ბებუთოვისა და სიძე ტფილისელ ბანკირის ფირდონოვისა. ალ. ალ. ბებუთოვს სოხუმში თამბაქოს პლანტაციები ჰქონდა.

✦ **გამოფენა ბაზარი.** 10 აპრილიდან სახაზინო თეატრში გაიმართა გამოფენა-ბაზარი სამხატვრო ნაწარმოებისა. შემოსავალი გადაიდება ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ **აღკრძალვა.** ადმინისტრაციის განკარგულებით, ვნების კვირაში აღკრძალულ იქმნა წარმოდგენების და ყოველგვარ გასართობების გამართვა.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ორშაბათს, 12 აპრილს, ტფ. ქალაქის საბჭოს განსახილველად წარედგინება ქალაქის 20-მდე მიმდინარე საქმე. სხვათა შორის, საბჭომ უნდა განიხილოს მოხსენება მესამე ხარისხის პურის ნიხრის შეცვლის შესახებ, მოხსენება ტფ. გუბერ. თავად. აზ. შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების სახლის შეძენის შესახებ, საყოველთაო სწავლის შემოღების შესახებ და სხვა.

✦ სიღნაღში 8 აპრილს ქალაქის ბულვარზე ვიღაც უცნობს მსუბუქად დაუჭრია ბოქაულის თანაშემწე დობრიდინი და მძიმედ სამაზრო გამგეობის მოხელე სიამაშვილი. უცნობი მიმალულა.

✦ ნაფარეულოში (კახეთი) ჩხუბის დროს იოსებ გვაზაშვილს ჯოხით მოუკლავს გიო ევმაუროშვილი

✦ 9 აპრილს მილიციის პრაპორშჩიკმა როსტომ ქაიხოსროს ძე ავალიანმა პოლიციას განუცხადა, რომ ვორონცოვის ძეგლიდან ალექსანდრეს ბაღისკენ მიმავალ ტრამვაის ვაგონში „სმიტისა და ვისსონის“ სისტემის რევოლვერი ამოაცალეს ჯიბიდანაო. რევოლვერი 30 მან. ღირდა.

✦ 9 აპრილს, დილის 10 საათზე, ტფ. მცხოვრებმა ახალგაზდა ქალმა ოლგა იაკოვლევამ, რომელიც სცხოვრობს კარუსელის დაღმართზე, თავის მოკვლის განზრახვით ნიშადურის სპირტი დალია. მოწამლული ქალი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

✦ 9 აპრილს პოლიციამ სომეხთა სემინარიის მახლობლად შეიპყრო განჯის მცხოვრები მაჰმედ-ჯაფარ კაჯაევი, რომელსაც რევოლვერი და 6 პატრონა აღმოაჩნდა. პოლიციამ რევოლვერი ჩამოართვა. კაჯაევს პასუხის-გებაში აძლევენ.

✦ 6 აპრილს შუა ბაზარში გაქურდეს ტიგრან სურათიანცის მაღაზია და დიდძალი საქონელი წაიღეს. პოლიციას შეუტყვია, რომ ერთი ნაწილი სურათიანცის ნივთებისა ვაჭარს ყაზარ გრიკორიანცს უწყვია მაღაზიაშიო, ამიტომ გაჩხრიკეს მაღაზია. გრიკორიანცს მართლა აღმოაჩნდა მოპარული ნივთები. იგი დააპატიმრეს.

## გიორგი სააკაძის სურათი

1633 წელს იტალიიდან საქართველოში მოვიდა კათოლიკის მისიონერი ქრისტეფორე კასტილელი, თიათინელების ორდერის ძმა. ამ მისიონერმა საქართველოში დაჰყო 1650 წლამდე, ე. ი. 17 წელიწადს. ამ ხნის განმავლობაში მას მშვენივრად შეუსწავლია ქართული ენა, საქართველოს ისტორია და ნამეტნავად მე-17 საუკუნის საქართველოს ამბები.

ქრისტეფორე კასტილელს შეუდგენია ვრცელი აღწერა საქართველოს შესახებ, სადაც, სხვათა შორის, ვრცლად აუწერია შაჰაბაზის შემოსევა საქართველოში, ქართველების აყრა და გადასახლება სპარსეთში და სხვა ამბები.

ამავე აღწერაში სურათებიც მოუთავსებია ქეთევან დედოფლის, თეიმურაზ მეფისა, არჩილისა, გურიისა და სამეგრელოს მთავრებისა, იმერეთის მეფისა და, სხვათა შორის, დიდი მოურავის გიორგი სააკაძის სურათიც, რომელიც დღევანდელ დამატებაში იბეჭდება. ამავე წიგნში მოთავსებულია სურათი ერთის გურულ ქალისა, მგოსნისა, ვიღაც ოპესინასი. ვინ არის ეს ქალი, არ ვიცით, ხოლო ის კი აშკარაა, რომ ეს გურული ქალიც თანამედროვეა ზემო-ხსენებულ პირებისა.

ქრისტეფორე კასტილელს დიდი მოურავის შესახებ დაწვრილებით ჰქონია მოყვანილი ისტორიული ცნობები. ეს ცნობები ბევრად განირჩევა თურმე ქართველ ისტორიულ წყაროების ცნობებისაგან.

დიდი მოურავი გარდაიცვალა 1632 წელს, ეს მისიონერი კი საქართველოში მოვიდა 1633 წელს. ამავე მისიონერს და სხვათაც დიდი მოურავი უნახავთ კონსტანტინეპოლში 1627 წელს, საფრანგეთის კონსულთან. მისიონერის აღწერა მაშინვე დაუბეჭდიათ იტალიურს ენაზე. დღეს ეს წიგნი მეტად იშვიათი საშოვარია თურმე.

სურათის ქვეშ ლათინური მონაწერი თვით ქრისტეფორე კასტილელს ეკუთვნის. ქართულად ნათარგმნია პატრის მიხეილ თამარაშვილისა ასე:

„მოურავი, საქართველოს ჯარის უფროსი, მთავარი, მეტად მხნე და უგუდაზე მტკიცე (ძლიერი გულადი) საქართველოში სპარსელებთან ბრძოლის დროს დიდი სახელი გაითქვა. შემდეგ ბედმა უღალატა, თავისიანებმა პირი აქციეს, რის გამო გაიქცა და ოსმალების მთავრობას შეაფარა თავი. იქაც თავის დიდებისა და ძლიერების გამო საწამლავით მოჰკლეს“.

ყველა ეს ცნობები და სურათი ძველის დედნიდან გადმოღებული რომიდან ზაქარია ჭიჭინაძისათვის გამოუგზავნია ჩვენი ისტორიის მკვლევარს პატრს მიხეილ თამარაშვილს.

## თეატრი და ხელოვნება

**გასამართლება.** კვლავ გასამართლება. კვლავ კამათი და მითქმა მოთქმა. 9 აპრილის გასამართლებამ ისევე დააინტერესა საზოგადოება, როგორც ქეთევანის გასამართლებამ. თეატრი გაჭედილი იყო. ეს გასამართლება პირველისაგან განირჩეოდა: არ იყო მოწმეების გამოკითხვა, ბოქაულის სირბილი, ზარის წკარუნი და ასეთი წვრილმანები. გასამართლება პირდაპირ ბრალმდებლის ი. მაჭავარიანის სიტყვით დაიწყო. ამას მოჰყვა მეორე ბრალმდებლის ვ. ლამბაშიძის სიტყვა, შემდეგ ილაპარაკეს დამცველებმა კ. აბაშიძემ და გრ. რობაქიძემ; მერე ოთარ-ბეგმა, რომლის როლსაც ვ. გუნია ასრულებდა და რომელსაც, როგორც ეტყობა, მონობის დროს ქართული ანბანი სულ დაჰვიწყნია, ძლივ-ძლივობით წაიკითხა რაღაც ქაღალდი, და ბოლოს, ერთი საათის თათბირის შემდეგ, ნაფიცმა მსაჯულებმა წაიკითხეს განაჩენი.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ოთხივე ორატორის სიტყვა საზოგადოებას მოეწონა და ცხარე ტაშით დააჯილდოვა, განსაკუთრებით კ. აბაშიძის და გრ. რობაქიძის სიტყვები.

ნაფიცმა მსაჯულებმა ზეინაბი გაამტყუნეს—დამნაშავეაო. გაამტყუნეს აგრეთვე ოთარ-ბეგი. ორი კვირის წინად ასეთმავე სასამართლომ გაამართლა „სამშობლოს“ გმირი ქეთევანი. ამ რიგად, ჩვენი ინტელიგენციის მართლ-მსაჯულების ნაყოფი ასეთია: მართალია ქეთევანი „სამშობლოდან“ და მტყუანია ზეინაბი „ღალატიდან“...

თეატრში მყოფმა საზოგადოებამ კი სულ სხვანაირად განსაჯა საქმე. ხმა ყველას არ მიუცია, მაგრამ ვინც მისცა, იმათგან ზეინაბი გაამართლა 186-მა, ხოლო გაამტყუნა—133 მ.

**ხონი.** ზამთარში აქ წარმოდგენები არ იმართება, სამაგიეროდ დადგება თუ არა გაზაფხული, იწყება კიდეც წარმოდგენების სეზონი. პირველი წარმოდგენა 20 მარტს გაიმართა, მეორე ეხლა 4 აპრილს, მესამე 7 აპრილს. გვპირდებიან ეგრეთვე წარმოდგენების დადგმას სააღდგომო დღესასწაულებში.

4 აპრილს ადგილობრივ სცენის მოყვარეებმა ბ. მდივნის დახმარებით წარმოადგინეს კომედია „ალიაქოთი კეთილშობილ ოჯახში“ და რუსულად ვოდევილი ან. ჩეხოვის „დათვი“. როგორც პირველი, ისე მეორე პიესა სცენის მოყვარეებმა არ გააფუჭეს. კომედიაში ბევრი აცინა საზოგადოება ბუდუ მდივანმა.

რუსულად, როგორც ვთქვით „დათვი“ დასდგეს. არ ვიცი, რა მიზნით ან ვის დაუდგეს რუსული წარმოდგენა. ნუ თუ ერთი რუსისთვის, რომელიც ამ წარმოდგენას დაესწრო? თუ ერთი რუსი იყო იქ, რომელმაც ქართული არ იცოდა, სამაგიეროდ ოცი და ორმოცი ქართველი იყო, რომელთაც რუსული არ იცოდა.

სასურველია, სცენის მოყვარეებმა შემდეგაც ხშირად დასდგან წარმოდგენები.

7 აპრილს ხონს ეწვია ტფილისის დრამატიული დასი. უნდა ეთამაშათ გუცკოვის ტრაგედია „ურიელ აკოსტა“, მაგრამ კოტე მესხის ავადმყოფობის გამო ეს პიესა ვერ ითამაშეს. წარმოადგინეს „შავი ბერი“. თუმცა წარმოდგენის დაწყებისას კოკისპირული წვიმა მოვიდა, ხალხი მაინც ბლომად დაესწრო. დიდის აღტაცებით მიიღეს ვლ. მესხიშვილი. წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა, თუმცა ბევრმა პიესის აზრი ვერ გაიგო. წარმოდგენის დასასრულ საზოგადოების თხოვნით ვ. ურუშაძემ წაიკითხა გურული სცენები.

**ქუთაისი.** ტფ. დასმა ვლ. ალექსი-მესხიშვილის მეთაურობით დასავლეთ საქართველოში მოგზაურობა დაამთავრა 8 აპრილს ქუთაისში გამართულ წარმოდგენით. ამ საღამოს ითამაშეს ორი ახალი პიესა: „ჩამუსისათვის“ შირვანზადესი და „სიკვდილი ნაპოლეონისა“. შირვანზადეს პიესამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

იმ სარკეში, რომელსაც ჩვენს წინა ხდის ფარდას ბ-ნი შირვანზადე რათა დაგვანახვოს, თუ როგორ, რა მოხერხებით და რაგვარ პატიოსნებით იძენდა და იძენს ზოგიერთი მოვაჭე ქონებას, სწორედ ამგვარ სარკეში ჩვენ წინადაც არა ერთხელ ჩაგვიხედნია ჩვენი და სხვა სომეხ მწერალთა სათეატრო ნაწარმოების საშუალებით. ვიმეორებთ ეს ძველი, ნაცნობი სარკეა, მაგრამ ქუთათურებისათვის თითქოს ახალი, ნაკლებად ნაცნობი სანახაობა.

სხვას რომ თავი დავანებოთ, აიღეთ თუნდა ჩვენი ნიჭიერი დრამატურგი ავქ. ცაგარელი ბუნებრივ მხატვრულ ნიჭით. რაოდენის სინამდვილითა და სიცოცხლით აღსავსეა მისი პიესები, რომელიც გვიხატავს ორთაჭალის ძმა-ბიჭების ცხოვრებას, მოვაჭე და სისხლის მსმელ სოვდაგრების მოქმედებას და სხ. რა მიზეზია, რომ მთელის წლობით ქუთაისში ამგვარ პიესებს არ თამაშობენ და სამაგიეროდ ღმერთმა იცის ხანდიხან რას არა სდგამენ. ტფილისელ ტიპების გაპიროვნება გვიძნელდებაო, ასახელებენ მიზეზად. ეს მართალია. მაგრამ არც ამერიკელ მილიარდერების ტიპები შეგვეფერის, თუმც ვთამაშობთ კია. საქმე ისაა, რომ სიძნელეს სძლიო, თანდათანობით შეეჩვიო უცხოსა და ახალს და ისეთი მწერლის ნაწარმოებნი, როგორიც ავქ. ცაგარელი იყო, სრულიად არ განდევნო ხელოვნების ტაძრიდან.

უმთავრეს ყურადღების საგანი ამ საღამოსი იყო ბ-ნ მესხიშვილის თამაში. ჩვენ ვიცით, რომ ყოველ როლს, რომელსაც ეს მადლიანი მსახიობი მოჰკიდებს ხელს, აკეთილშობილებს და ალამაზებს, მაგრამ თუ ბ-ნი მესხიშვილი ასეთივე ძლიერი იქნებოდა სომხის ანდრიას ელიზბარიანის როლშიაც—არ გვეგონა. ამგვარ ხასიათის როლში, ჩვენ და ვგონებთ მრავალი სხვაც პირველად ვხედავთ ამ მსახიობს. თავიდან ბოლომდე დაკვირვებით ჩაატარა მან ეს როლი. ბევრი კარგი ადგილი გაგვაცნო მსახიობმა ამ პიესაში, ხოლო ყველაზე ძლიერი გამოდგა მესამე მოქმედების ბოლო, როდესაც იგი შიშისაგან არეული და ნახევრად გონება აბნეული ქურდულად მიიპარება თავის ქალიშვილის ოთახში საბუთის ქაღალდების მოსაპარავად...

ტიპიური სალათელა იყო ბ-ნი დ. მესხი. დანარჩენ მოთამაშეებში აღვნიშნავთ ბ-ნ ზარდალიშვილს და მდივანის ქალს, რომელმაც ბოლო მოქმედება შესაფერისად ჩაატარა. ცოტათი დაგვაკმაყოფილეს ჟივიძემ და გვარაძემ, უფრო ნაკლებ-კი რიონელმა და მატარაძემ.

„ნაპოლეონის სიკვდილმა“ მეტად სუსტი შთაბეჭდილება მოახდინა. ერთ მოქმედებიანი პიესა სანახევროდ შეუკრეჭიათ. ვისთვის რა საჭირო იყო ასე შემოკლება? ბევრი კარგი სიტყვა და სცენა გამოტოვებულია, თუნდ, მაგალითად, ის, რომ მთაზე ანთებული კოცონი, რომელიც ამცნობს იალქანს დაბრუნდეს საფრანგეთში უნაპოლეონოდ, უნდა ანათებდეს ნაპოლეონის სადგომის ფანჯრებს. ეს ადგილი და ამისათვის საჭირო სიტყვიერი განმარტება, რომელიც მეტად დრამატიულის ხასიათისაა, გამოტოვებულია.

**ჯაფარ-ფაშა.**

## სიტყვის მაგიერ

(ლიტერატურულ გასამართლების გამო*)

ამ ბოლო დროს ჩვენში შემოიღეს ლიტერატურული გასამართლება და საჯაროდ ამა თუ იმ ლიტერატურულ ნაწარმოების გმირის მსჯავრის დადება. ეს მოვლენა ჩვენში გადმოიღეს რუსეთის მიბაძვით, სადაც უკანასკნელ წლების მრავალფეროვანმა ლიტერატურამ მთელი საზოგადოება აამოძრავა და აზრთა შეტაკება გამოიწვია. ამიტომ მე პირადად დიდის ყურადღებით ვადევნებდი თვალ-ყურს ჩვენში გამართულ გასამართლებას, მით უმეტეს, რომ ამ მოვლენას ჩვენ, ქართველებისათვის და ეროვნულ ცხოვრებისათვის ბევრად დიდი და ფართო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე რუსეთში. ქართველი ერი მოკლებულია ძირითად უფლებას საზოგადო დაწესებულებაში საზოგადო საქმის გარჩევის და კამათის დროს მოისმინოს სჯა-ბაასი სამშობლო ენაზე. სხვა და სხვა პირობის გამო ჩვენი ძველი და ახალი თაობაც, დასახიჩრებული აღზრდის პირობების გამო, არ იცნობს და არ იცის თავისი ენა, გაუძნელდება საჯაროდ ორი ფრაზის გამოთქმა. აი, ამ მხრივ უფლება მოკლებულ ერისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ თავის ენაზე სჯა-ბაასს და კამათს, როდესაც ნათლად მტკიცდება, რომ თუ ენას შეისწავლი, შეგიძლიან და მშვენიერადაც შეიძლება ყოველ აზრის გამოთქმა და გამოსახვა.

მეორე დიდი მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ, ქართველები, უკვე ერთი საუკუნეა მოკლებულნი ვართ ჩვენს სამართალს და ეხლა, ლიტერატურულ სამსჯავროს სახით, ვცდით ჩვენს თავს და ძალ-ღონეს. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ მაშინ, როდესაც მთელ რუსეთში მესამოცე წლებიდანვე განხორციელდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და ამითი საზოგადოებას მიეცა ძლიერი იარაღი თავის აზრის გამოსათქმელად, მთელი კავკასია და კერძოდ ჩვენი კუთხე მოკლებულია ამ უფლებას სხვა და სხვა უმაღლეს მოსაზრებით...

ყველა ამას ზედ დაურთეთ ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც საზოგადოების სინიდისის სამსჯავროს განაჩენსა აქვს თავის მორალურ ავტორიტეტით და ყველასათვის ნათელი იქნება, როგორის სიფრთხილით, როგორის მომზადებით უნდა მოვკიდოთ ამ საქმეს ხელი. შეიძლება ამ საკითხს ორნაირად შევხედოთ: პირველი უკვე დავახასიათე ზემოდ და ამ მოვლენას ეროვნულ კულტურულ მნიშვნელობას ვაძლევ; მეორე—მივიღოთ ის, როგორც უბრალო მიბაძვა იმისა, რაც რუსეთში ან სხვაგან არის, უბრალო „მოდა“, ისე როგორც უშველებელ შლიაპების შემოღებაა და ამ საშუალებით მხოლოდ ფულის მოხვეტა ამა თუ იმ მიზნისათვის. პირადად ჩემთვის მხოლოდ პირველი შეხედულებაა შესაწყნარებელი და ჭეშმარიტი, მეორე კი პრინციპიალურად არაფრით განსხვავდება უბრალო მიბაძვისაგან, თუ გინდ იგი იყოს ფრანგულ ქუდების გამართვა და ამით ფულის აღება.

ამ საერთო ხასიათის მოსაზრებათა შემდეგ შევუდგები ჩვენში გამართულ ლიტერატურულ გასამართლების გარჩევას.

როდესაც რომელსამე პიროვნებას სამართლებთ ნაფიც მსაჯულთა განაჩენით, პირველი და ძირითადი მოთხოვნილებაა—განსაჯოთ პიროვნება, პიროვნება ხორც შესხმული მისი ავითა და კარგით. უფლება არა აქვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პიროვნებას თავი დაანებოს, გადავიდეს მხოლოდ განყენებულ პრინციპის დაფასებაზე და ამ პრინციპს მსჯავრი დასდოს. მაგალითად, არსებობს კანონიერი და ამავე დროს საზოგადოებრივი ნორმა, რომ კაცის კვლა და ქურდობა შეუწყნარებელია, საზიზღრობაა. მაგრამ როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სჯის კაცის მკვლელს ან ქურდს, იმას განაჩენი არ გამოაქვს, რომ ბრალდებული, როგორც კაცის მკვლელობის ან ქურდობის წარმომადგენელი, დამნაშავეაო. ამის მაგივრად ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა განიხილონ კონკრეტიული, განსაზღვრული მოვლენა, გაითვალისწინონ საქმის ყოველივე ვითარება, ბრალდებულის ფსიხოლოგია, რა განზრახვა ჰქონდა მას, რამ აიძულა ამა თუ იმ მოვლენის ჩადენა. ამიტომ, ხშირად ფაქტი მკვლელობისა ან ქურდობისა დამტკიცებულია ხოლმე, ბრალდებულიც უარს არა ჰყოფს ამას, მაგრამ ნაფიც მსაჯულთა სამსჯავრო მაინც ამართლებს მას, რადგან უფლება არა აქვს მარტო განყენებულ ნორმებით იხელმძღვანელოს და რადგან ფაქტი კა-

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, რადგან პარასკევის გასამართლებამ დიდი კამათი გამოიწვია. ამ საგნის შესახებ სხვების წერილებსაც დავბეჭდავთ. რედაქ.

ცის მკვლელობისა სრულიად არა ნიშნავს, რომ ბრალდებული **დამნაშავეა** კაცის კვლაში. ამისი მაგალითი უთვალავია ნაფიც მსაჯულთა პრაქტიკაში.

ამ ძირითად მოთხოვნილებასთან მჭიდროთ დაკავშირებულია მეორე მოთხოვნილება. როდესაც სასამართლო თავმჯდომარის პირით კითხვებს დააყენებს და ნაფიც მსაჯულთ აძლევს, ამ კითხვების რედაქციაზე და აზრზე ბევრია დამოკიდებული. ერთი სიტყვის შეცვლას, მძიმეს ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანას დიდი გავლენა აქვს განაჩენის გამოტანაზე. ამიტომ თუ ნაფიცი მსაჯულნი არ ეთანხმებიან კითხვას, ვალდებულნი არიან გამოუცხადონ ეს სასამართლოს და სთხოვონ თავჯდომარეს ან განუმარტოს კითხვა ან გამოსცვალოს აზრი ან რედაქცია კითხვისა. თითონ კი **გამოუცხადებლად**, რომ ეს იცოდეს ბრალმდებელმაც, დამცველმაც და სასამართლომაც, **ნება არა აქვთ კითხვა გამოსცვალონ**.

რა მოხდა 9 აპრილს ზეინაბის გასამართლების დროს? ჯერ ერთი შენიშვნა. ყველა ზემოდ აღნუსხნულის შემდეგ ნათელი უნდა იყოს, რომ ნაფიც მსაჯულთ და იმათ პიროვნებას დიდი მნიშვნელობა აქვთ საქმის გადაწყვეტაში. ამიტომ ყველაზე სამართლიანი იქნება, რომ საზოგადოებამ თითონ აირჩიოს ნაფიცი მსაჯულნი და ეს ტეხნიკურადაც არ არის ძნელი. მაგრამ, თუ ეს არ მოხერხდება ამა თუ იმ მიზეზის გამო, მაშინ განსაზღვრული პირნი მაინც უნდა იყვნენ დანიშნულნი ნაფიც მსაჯულებად. ორ გასამართლებას დავესწარი და ორჯელვე ფარდის ახდის წინ საღამოს გამმართველნი თავგანწირულნი დაეძებდნენ ნაფიც მსაჯულებს და იხვეწებოდნენ: „თუ შეიძლება ან თითონ იყავი მსაჯულად ან ვინმე გვიშოვნეთ, თორემ ხუთი ან ექვსი კაცი გვაკლიაო“. დამეთანხმეთ, ცოტა უხერხული მეთოდია მსაჯულების არჩევისა. ამას გარდა, განაჩენის გამოტანას დრო და კამათი უნდა. ამის მაგივრად თავზე გადგანან და გეუბნებიან, ჩქარა, რაც უნდა გამოიტანეთ, ოღონდ ჩქარა, თორემ თეატრს დაგვიხურავენო. მართალია, შეიძლება თეატრი დახურონ, ხალხი; დაიშალოს, მაგრამ მსაჯულებს შეუძლიანთ შემდეგ, სჯა-ბაასის შემდეგ, განაჩენი პრესსის საშუალებით გამოაქვეყნონ. ამას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თათარიახნად გამოტანილ განაჩენს.

ზეინაბის გასამართლების დროს, როდესაც თავმჯდომარემ კითხვები გადმოგვცა, ჩვენ ერთხმად არ დავეთანხმეთ კითხვის რედაქციას და ზოგიერთნი კი — თვით აზრსაც. იმის მაგიერ, რომ გვეთხოვნა საჯაროდ კითხვები განემარტათ ან შეეცვალათ, ნაფიც მსაჯულებმა უარჰყვეს თავმჯდომარის კითხვები და თვით დასვეს ახალი კითხვები. შემდეგ დაანებეს თავი ზეინაბს, როგორც პიროვნებას და შეუდგნენ განსჯას, შესწყნარებელია და გასამართლებელი თუ არა ზეინაბი, როგორც ერთგვარ პოლიტიკურ მიმართულების წარმომადგენელიო. ხმის უმეტესობით გადასწყვიტეს ეს საკითხი და გამოვიდნენ განაჩენის გამოსაცხადებლად. მაშინ მე განვაცხადე, საზოგადოებას აცნობოს ჩვენმა მამასახლისმა, რომ კითხვები გამოცვლილია და ზეინაბი განსაჯეს არა როგორც პიროვნება, არამედ როგორც პოლიტიკურ მიმართულების წარმომადგენელი. ბ-ნმა თავმჯდომარემ სამართლიანად განაცხადა, რომ ეგ შეუძლებელიაო. მაშინ აიღეს პირველად დაყენებული კითხვები, რაღაცა ამოშალეს, — რა — ეხლაც არ ვიცი — და უთათბიროთ, ერთ წუთში (გიპერბოლა არ გეგონოთ) გამოიტანეს განაჩენი. პირველი საათ ნახევარი სჯა-ბაასისა კი სხვანაირად დაყენებულ კითხვის გარჩევას მოანდომეს. ყველამ ამ მიზეზის გამო გამოვიდა დომხალი და არა განაჩენი. მე საშვალება არ მქონდა დამცველებთან ერთად გადამეტანა პროტესტი უმაღლეს სამსჯავროში, რადგან ლიტერატურულ სასამართლოს ამისთანა რამ არა აქვს და ერთად-ერთი უმთავრესი სამსჯავრო თვით საზოგადოებაა. ამიტომ მე პრესსის საშუალებით ვაცხადებ პროტესტს. შეიძლება მე დავარღვიე ნაფიც მსაჯულთა სჯა-ბაასის საიდუმლოება, მაგრამ მე მირჩევნია საზოგადოებამ მიუთითოს ყველა დანაკლისზე, რომ მომავალში აღარ გავიმეოროთ. ჩემის აზრით, ქართველებისათვის ლიტერატურულ გასამართლებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ამას ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობა უნდა მივცეთ და ამიტომ დიდის მომზადებით და სიფრთხილით უნდა მოვკიდოთ ხელი. თუ ეს არ გინდათ, თუ მხოლოდ შემოსავალია მხედველობაში მიღებული, მაშინ ლაპარაკიც კი მეტია, მაშინ შეგვიძლიან სხვა რამე გავმართოთ დი არა ლიტერატურული გასამართლება.

**შალვა მესხიშვილი.**

## კიდევ „ვეფხის ტყაოსნის“ შესახებ

ბ-ნი ვართაგავა თავის „ქართული მწერლობის მიმოხილვა“-ში*) სხვათა შორის ეხება „ვეფხის ტყაოსნის“ საკითხს და სხვა და სხვა მისი შესახები აზრის განხილვის შესახებ დასკვნის ასე:

როგორც დავინახეთ, ბევრი სხვა და სხვა აზრი გამოითქვა „ვეფხის ტყაოსნის“ სიუჟეტის შესახებ... მაგრამ საკითხი „ვეფხის ტყაოსანზე“ და მის ავტორზე ჯერაც საბოლოოდ არ გამორკვეულა... ამ გზის დაბნევაში და სინამდვილის გაუგებრობაში, აკაკის აზრით, ცოტა არ იყოს, თითონ რუსთველსაც აქვს ბრალი, რადგან თითონ ამბობს: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები!.. ვპოვე და ლექსად გარდავსთქვიო“.. ამისათვის შემცდარი იქნება ის მკვლევარი, ვინც თვის ჰიპოტეზას „ვეფხის ტყაოსანზე“ ჭეშმარიტებად ჩასთვლის.

ცოტა ქვემოთ ავტორი ბრძანებს:

ნუ თუ ჩვენმა მემატიანეებმა და მწერლებმა შური იძიეს რუსთველზე და იმისთვის არ გახადეს ის ისტორიულ დოკუმენტებში მოხსენების ღირსად, რომ მან თვისი პოემა არ მოამწყვდია ქრისტიანულ ასკეტიზმის ვიწრო ფარგალში და შექმნა ისეთი ნაწარმოები, სადაც უმაღლეს წერტილამდეა განვითარებული ღვთაებრივი ძალა ქალ-ვაჟის სიყვარულის, სადაც იდეალად არის დ ხატული უებარი გმირობა და შეურყეველი მეგობრობა!... მაგრამ ეს მოსაზრებაც ხომ ჰიპოტეზაა და არა უტყუარს ფაქტზე დამყარებული ჭეშმარიტებაო. და სხვა.

ზემორე მოყვანილი სტრიქონების დამწერს აშკარაა ჰსურს გააბათილოს ჩვენი ნალაპარაკევი „ვეფხის ტყაოსნის“ შესახებ და აკი კიდეც ცხადად გამოსთქვამს უფრო ადრე ჟურნალ „განათლებაში:“ (იხ. № 2, გვ. 103).

„ბ. აბულაძეს ახალ თეორიისთვის მიუმართავს. ჩვენის აზრით არც ეს თეორია და არც მის გასამართლებლად მოყვანილი საბუთები ისეთის ყურადღების ღირსნი არ არიან, როგორც ლექსიკონიო“.*) ცხადზე უცხადესია, რომ ბ-ნ ვართაგავას წერილის ეს ადგილი პირდაპირ მე მეხება, რადგან აქ ლაპარაკია ჩემ მიერ გამოთქმულს მოსაზრებაზე, რომელიც „ჰიპოტეზაო და არა უტყუარ ფაქტზე დამყარებული ჭეშმარიტება“, მაშასადამე ის „შემცდარი მკვლევარიც, რომელიც თვის ჰიპოტეზას „ვეფხის ტყაოსანზე ჭეშმარიტებად სთვლის“, მე ვარ.

პატივცემულს ქართული მწერლობის მიმომხილველს ბ-ნ ვართაგავას ავიწყდება, რომ მე თითონ სრულებითაც არა ვსთვლი საბოლოოდ გადაწყვეტილად „ვეფხის ტყაოსნისა“ და მისი ავტორის შესახებს საკითხს და ამის მიზეზად მე ვსთვლი იმ ზნეობრივ სიკოტრეს, რომელიც ხასიათდება იმით, რომ ჩვენში ბევრს არ აინტერესებს საქმის ვითარება, არამედ სცდილობენ მხოლოდ სიტყვების რახა-რუხით დაამტკიცონ, ანუ უკეთ გააზვიადონ თვისი მამულის მოყვარეობრივი გრძნობა,*) და ამ მიზნით კი მიჰმართონ კარგად ცნობილ ხერხს რუსთველისა და სხვა სასიქადულო პირთა გამოსარჩლებით თავის გამოჩენას და არავის შეაწიონ ამგვარ საგანზე პირუთვნელის მსჯელობის გამოთქმა (შემცდარი იქნება, თუ სწორი), მაგრამ ეს ხომ დაძველებული ხერხია დღემდის მრავალთაგან ხმარებული, როგორც საზოგადოებათვალში ასამაღლებლად ფრიად სასარგებლო, ხოლო საქმისთვის კი ფრიად მავნებელი.

მე წინადაც ვსთქვი და ეხლაც საჭიროდ ვრაცხ განვიმეორო, რომ მე მსურდა ჩემს მოხსენებაში მეჩვენებინა, რომ „ვეფხის ტყაოსნის“ შესახები არაკი არსებითად არ განსხვავდება სხვა სპარსულ ხიკაიტებისაგან (მოთხრობებისაგან) და ნამეტურ ახლო „ბაჰრამიანის“ ტიპის სადევგმირო მოთხრობებზე, რომ მე მინდოდა აღმენიშნა (იმ მიზნით, რომ უფრო ცხად მეყო რუსთველის ქნარის ორიგინალობა და სიძლიერე) ტიპი იმ სადევგმირო ამბისა, რომელიც უნდა დასდებოდა საფუძვლად რუსთველის „ვეფხის ტყაოსანს“, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. მას შემდეგ კიდევ უფრო ჩავუკვირდი ამ საგანს და დღეს მე ვკადნიერდები პირდაპირ მივუთითო მკითხველს იმ ერთ თხზულებაზე, რომელიც ახლო უნდა ყოფილიყო „ვეფხის ტყაოსნის“ სიუჟეტზე, რომლითაც უსარგებლებია ერთს ჩვენ ქართველ მელექსესაც.

ეს მელექსე გახლავთ ონანა მდივანი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მე ონანა მდივნის „ბარამ გულიჯანიანის“ შესახებ გადაჭრით მაქვს გამოთქმული ის აზრი, ვითომ ონანა მდივნის „უცნობი ბარამიანი უნდა იყოს იგივე პროზითი, ონანას საკუთარ გემოზე გადაკეთებული და გალექსილი ბაჰრამიანი, რასაც მოწმობს ის გარემოება, რომ სპარსული ბაჰრამიანი უდრის პროზაიკულ რედაქციებს და არა გალექსილს მეთქი და სხვა (იხ. „ძველი საქართველო“, გვ. 95. შენიშვნა 1-ლი). მას აქეთ ჩვენ ამ ონანას „ბაჰრამიანისა“ და მის ბიბლიოგრაფიულ ცნობათა აწონ-დაწონისა და ზოგიერთის ჩვენ მიერ ნახული სპარსული ნიმუშების შინაარსის გაცნობის შემდეგ არსებითად შევიცვალე ეს აზრი.

მართლაც მოვუსმინოთ ონანას (იხ. ხელნაწერი № 1613, გვ. 147—148, სტრ. 12—ე):

„აწ ესე დიდისა ჩინელთა კელმწიფის ჯორჩერის ამბავნი იწყებოდა. და მენ მეფეთა კეკლუცთა ქალთათვის უსწორთა ჭაბუკთა მიჯნურობა ითქმოდა და ბარამ ჭაბუკისა და გულიჯან ჩინელთა მეფისა ასულისა, მათნი სურვილი დაუცხრომელი და საკვირველი.

ესე ბარამ იყო სახლეულთაგან ტომი და ნერგად ყვავილ ფურცლოვან ქმნილი მის დიდისა ჩინელთა მეფისა და მისგანვე ძედ ნაზარდი და შვილად ნაქმნი უნაყოფობისათვის მის კელმწიფისა, და იგი პირმზე და კმელთა ზედა მანათობელი გულიჯან ასული იყო მის კელმწიფისა, და მათ დაუცხრომელი ერთმანეთისა სურვილის ცეცხლის სიმხურვალითა დაადნებოდი იყვნენ. უმიჯნურესად ყოველთა სოფლის შემსწავლელთა ძეთა კაცთასა, და მიწევნილ იყო ყოველსა ქვეყანასა საქმენი მათნი და ოდეს სცნეს სპარსთა ფილოსოფოსთა და მიიწივნა ამბავი მათი სპარსეთად ბრძენთა გულნი მიეძღვნეს და მეცნიერთა ცნობანი განუხვნეს, შეიწყვეს და შეინაწევრეს და დაწერეს ამბად სპარსთა ენათა ზედან. მან ბრძენმან და მეცნიერმან კაცმან კეთილმან არა თუმცა უსწავლელმან და უგბილმან ჩუბინ ბრძენმან, რომელი იყო თემისაგან ქირმანელთასა სთქვა მათ მიჯნურთა საქმენი....

ცოტა ქვემოდ, გვ. 148, სტრ. 5—7, მელექსე ონანა განაგრძობს:

და ესეცა იყო მეცნიერთაგან (ქართველთაგან, რომლებიც სპარსულიდან „ქართულად გარდმოიღებენ) სპარსთა ენათაგან გადმოთარგმნილი; აწ მენება და სურვიელ ვიყავ ვეძიებდი მრავალგზის, ვითარცა კლთმეგდო; ოდეს გზოვე მე ყოველთა უნაკლულესმან და კეთილთა მეტყველთა აჩრდილთაცა მიბაძვად არა ღირს მჩენელმან, ძემან კახეთის მდივნისაგან და თვით მდივანმან ონანამ გავალექსე მათ მიჯნურთა სატრფიალონი ამბად ნათქვამნი..

ქვემორე იმავე გვერდზე, სტრ. 19, მელექსე ამბობს:

„რომელიმე ამა ამბისა წიგნსა შინა წერებულ იყო და მივხვდით და ყვლებლად ვეცადენით და მთლად შესრულებად გამოვიძიეთ..., მაგრამ ბევრი რამე დამიშთა“,, ამის შემდეგ ჩამოთვლილია შრომის შესრულებისა დროს ხელის შემშლელი მიზეზები..

(დასასრული იქნება)

---

*) „ერი“, N 2, სტ. 13-14.

*) სწორედ ლექსიკონის შესახებ უნდა ვსთქვა, რომ მისი დაუბეჭდავობა აჯობებდა, ვიდრე დაბეჭდვა იმ სახით, რა სახითაც ის დაიბეჭდა. როგორც ამას წინადაც ვწერდი, მასში ბევრი შეუწყნარებელი შეცდომა გაეპარა, რადგან ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები ხელს მიშლიდა მის რიგიანად დაბეჭდვაში. ამას, რასაკვირველია, მარტო ენების მცოდნე სპეციალისტი შეამჩნევს, რადგან საგანი არაბულ-სპარსულ სიტყვებს ეხება. ამიტომაც იძულებული ვარ ხელ-ახლად შესწორებული სახით გამოვსცე ლექსიკონი; მანამდი კი ასე გაზეთის ფურცლებზე თუ მოვახერხებ ისეთ ის შეცდომების გასწორებას, როგორიც არიან მაგალ: მუსაფი, არაბ. მუსჰაფ და არა შეცდომით დაბეჭდილი მუხაფ (ელიფით); მელიქ-სურხავის პირდაპირ უნდა ყოფილიყო სპარსულად: მელიქ-სურხაბი და არა სურხი, შერმადინ-ის პირდაპირ შერიფ-ედდინ და სხვები, ბევრგან სპარსულს ასოღ რ-ს მაგიერ დაიბეჭდა გ-ხი.

*) იხ. «ძველი საქართველო», ტომი 1, გვ, 70-71.

## განცხადებანი

ეძებენ მებუფეტეს,

ვისაც სურს აიღოს პირველი კლასის კაფე ბუფეტი, მომზადებულ 5 თვალ-შენობაში ყოველ მოწყობილობით და ელექტრონის განათებით, ახლად გასახსნელ ფეხ საცურავ ტრეკზე „სკეტინგ-რინკი“. პასტეროვის ქუჩა, № 4 (მიხაილოვის პროსპექტიდან ან ველიკოკნიაზის ქუჩიდან). (3—229—1)

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძ გლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. აკეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ქალ. ექ. პ ს. ზილბერშაცი:** 6—6½ ს საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარცინევსკი 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—83)

ექიმი ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ბორჯ ცენტრის მახლობლად, სა- ომის სახლის პარკის გვერდზე,
იაფად იყიდება მიწის ნაჭერი,
ყოფილი უგანათლებულეს თავადის ვორონცოვისა, ზომით 15,000 ოთხკ. საჟენი. შესამჩნევი ნაწილი ადგილისა უჭირავს პარკსა და ხე-ხილის ბაღს.
ცნობების გაგება 12 აპრილამდე ტფილისში სასახლის ქ., „ვიქტორიას“ სასტუმროში კ. ე. გრიგორიევთან, ხოლო შემდეგ იალტაში, თავ. ტრუბეცკოების კანტორაში, ვინოგრადნის ქ., ს. ბუხშტაპისა. მიწის ნაჭრის დასათვალიერებლად ადგილობრივ დარაჯია. (5—1049—4)

ავეჯით მორთული ოთახები „მუხრანი“

იძლევა ქირით მშვენივრად და ძვირფას ავეჯით მორთული ოთახები, ქუჩის მხრიდან ფანჯრებით. დღიურად 70 კაპ. 5 მანეთამდე, თვიურად 15 მანეთიდან და უფრო მეტ ფასადაც

„მუხრანი“ ერთადერთი ნომრებია მეოჯახეთათვის საცხოვრებლად და ვინც მთელი ზაფხულით აიღებს ნომერს, მას დაეთმობა მეტად შეღავათიან ფასად.

არის როგორც ერთ ოთახიანი, ისე ორ ოთახიანი ნომრებიც ავეჯებით, ელექტრონის განათებით და ცხელ და ცივ ვანებით.

ნომრებს ჰყავს საკუთარი კომისიონერი. (1—238—1)

კახური ღვინო
„მელაანი“
თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იყიდება ყველგან.
(4—გაყ.—1)

ა ბ ა ნ ო
ვერის დაღმართზე სახლი № 7.

აბანოში მშვენივრად მოწყობილი ნომრებია და ორი საერთო აუზი — ერთი ქალებისა და ერთი ვაჟებისათვის.

აბანო ღია არის დილის 6 საათ. 12 საათამდის.

(5—გაყ.—3) პატივისცემით ზ. ი. აბრამაშვილი.

სააქციონერო საზოგადოება
„გრამოფონი“
ტფილისი, გოლოვინის პროსპ., ტელეფონი № 69.

არის მრავალი მოლაპარაკე მაშინა, მაგრამ ნამდვილი ამათგანი მხოლოდ გრამოფონებია ჩვენი საქარხნო ნიშნებით: „მწერალი ანგელოზი“ და „ხმა პატრონისა“. ამ გრამოფონებსჰყურჩევთ ყველას, როგორც საუკეთესო საჩუქარს სააღდგომო დღესასწაულებისთვის.

TRADE MARK
"GRAMMOPHON"

**ახალი ამბავი:** საუკეთესო აპარატები **65 მან.** და უფრო ძვირი.

მრავალი ფირფიტა შალიაპინის, სობინოვის, კარუზოს, ტეტრაცინის, შუვალოვას, ვავიჩის, მანახოვის, სევერსკის ხმებით, აგრეთვე მრავლად არის ფირფიტები კავკასიელ მომღერალთა ხმებით: ბაგრატასი, მ. ბეგბუტოვისა, და კარია-მდევისა, ტომაშევიჩი და კავსაძე, ფორხალიევისა და სხვათა. ყველა ჩვენ აპარატს და ფირფიტას აქვს ფაბრიკის მარკა „მწერალი ანგელოზი“, რასაცვთხოვთ ყველას, ყურადღება მიაქციოს.

ერიდეთ სიყალბეს

სააქციონერო საზოგადოების „გრამოფონის“ ნაწარმოებნი მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ აგრეთვე გ. ს. დავიდოვთან, სერგიევის ქ., აზოვ-დონის საკომერციო ბანკის პირდაპირ. ქუთაისში—სააქციონერო საზოგადოების ნაწარმოებთა ყიდვა შეიძლება ა. რ. თაბაგართან. (0—6.—5)

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე.